ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

კ.N9

თბილისი 06.09.2013წ.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, მისი დირექტორის გიორგი შუხოშვილის სახით, შემდგომში - შემსყიდველი, ერთის მხრივ, შპს „ნაპირდაცვა“ მისი დირექტორის ტარიელ ბერიძის შემდგომში - მიმწოდებელი, მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“საქართველოს კანონისა და საკონკურსო წინადადების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. ამ ხელშეკრულების საგანია ქ.ქუთაისის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის გასწვრივ - მდინარე რიონის ჭალა-კალაპოტის მარჯვენა სანაპირო ზოლის ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და ობიექტზე საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების გაწევის შესყიდვა - შემდგომში მომსახურება.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 26 900 (ოცდაექვსი ათას ცხრაასი) ლარს.

2.2 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება.

2.4 ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელის მიერ შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენილი იქნება თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით, აღნიშნულ საკითხზე შემსყიდველის თანხმობის შემთხვევაში გასაწევი მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება ორ ეტაპად, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მსგავსი თხოვნის წარმოუდგენლობისას გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურებაგანხორციელდება ერთ ეტაპად წინამდებარე ხელშეკრულების 2.7-2.8 პუნქტების შესაბამისად.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

2.5 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით, წარმოდგენილია ავანსის მოთხოვნა, პირველ ეტაპზე შემსყიდველი უნაზღაურებს მიმწოდებელს ავანს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 30%-ის (პროცენტი) ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.

2.6 ავანსით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

2.7 საბოლოო ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელი ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალებისა და მომსახურების გაწევის ვადების შესაბამისად, წარუდგენს შემსყიდველს დასრულებულ საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, რაზედაც მხარეთა შორის ფორმდება გაწეული მომსახურების შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი.

2.8 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე შემსყიდველის გადაწყვეტილებითა და მისივე ხარჯით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის მიერ, ექსპერტიზის (ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის ექსპერტიზა) ჩატარების შემდგომ, დადებითი რეკომენდაციის (დასკვნის) მიღების შემთხვევაში, სათანადო დასკვნას დებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური და დგება დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, რის საფუძველზეც შემსყიდველი ორგანიზაცია აუნაზღაურებს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და დამატებული ღირებულების გადასახადი სანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 კალენდარული დღისგანმავლობაში. ანგარიშსწორება მოხდება გაცემული ავანსის, გაწეულ მომსახურებაზე ექსპერტიზის ჩატარების შემდგომ დადგენილი შესაძლო დეფექტის არსებობის შემთხვევაში მისი გამოსწორებისათვის გათვალისწინებული ჯარიმებისა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით.

2.9 საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ამისათვის საჭირო დროს, საპროექტო მომსახურების გაწევისათვის გათვალისწინებული ვადების მიუხედავავად. საავტორო ზედამხედველობის ხარჯები მიმწოდებელმა უნდა განსაზღვროს საჭირო კაცდღეების, ტრანსპორტის ხარჯების, სამივლინებო, ზედნადები და მიმწოდებლის სხვა ხარჯების გათვალისწინებით. ყოველ გადახდას შემსყიდველი განახორციელებს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით განსაზღვრული საავტორო ზედამხედველობისათვის განკუთვნილი თანხის გამოკლებით. საავტორო ზედამხედველობისათვი და რეზერვირებული სახსრები გამოყენებული იქნება მიზნობრივად ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე.

2.10 საავტორო ზედამხედველობისათვის განკუთვნილი სახსრები უნდა შეადგენდეს მთლიანი შესყიდვის ობიექტის ღირებულების არანაკლებ 9% პროცენტს.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

2.11 შემსყიდველი უფლება მოსილია აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

მუხლი 3. მომსახურების შესაბამისობა

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგერთვე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს გაწეული მომსახურება ან/დამიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებლისაგან, გაწეული მომსახურების შესაბამის დოკუმენტაციას (ნახაზებს, ლოკალურ და რესურსული მეთოდით გაანგარიშებულ ხარჯთაღრიცხვას, ტექნიკურ ანგარიშებსა და სხვა დოკუმენტაციას) შემსყიდველი მიიღებს ინსპექტირების აქტის შედგენის შემდგომ გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რის შემდგომაც ხორციელდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ექსპერტიზაზე გადაცემისა და სათანადო დასკვნის მიღების პროცედურა.შესაბამისი რეკომენდაციებისა და დადებითი საექსპერტო დასკვნის მიღების შემდგომ, ხელშეკრულების მხარეთა შორის დგება დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და სრულ ასანაზღაურებელ თანხას.

4.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება, მხოლოდ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ. გაწეულ მომსახურებას მიმწოდებელი აბარებს შემსყიდველს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული წესით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს - დირექტორის მოადგილე ანდრია დვალი.

4.3. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურების შუალედური კონტროლის შედეგები (ექსპერტიზის დასკვნა) უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღება-ანაზღაურებაზე, და/ან მიმწოდებელს ეძლევა გონივრული ვადა აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

4.4. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, ხელშეკრულების მოქმედების ვადის მიუხედავად.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 დღის განმავლობაში (აღნიშნული პერიოდი მოიცავს გასაწევი მომსახურების 2 ეტაპად წარმოდგენის ვალდებულებას), პირველი ეტაპი ხელშეკრულების გაფორმებიდან 25-ე დღე, მეორე ეტაპი (სრული დოკუმენტაციის საბოლოო ჩაბარების ვადა) ხელშეკრულების გაფორმებიდან **მე**-40დღე;

გ) მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალების შესაბამისად;

დ) დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგინოს 5 ეგზემპლარად ნაბეჭდი და ელეტრონული ფორმატით;

ე) მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/დაგაწეული მომსახურების შესახებ;

ვ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურების შუალედური კონტროლის უარყოფითი შედეგების (ექსპერტიზის დასკვნა) საფუძველზე გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

ზ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) საამისოდ შერჩეულ პირთან/ან პირებთან ერთად აწარმოოს ინსპექტირება მომსახურების გაწევის ვადების მიმდინარეობაზე, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2 მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 1% (ერთი) პროცენტი არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დაზღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მეირ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.

მუხლი9. უფლებების გადაცემა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი10. სუბკონტრაქტორები

10.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დადებული უველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 სუბ-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%.

10.4 მომსახურების გაწევის პროცესში სუბ-კონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი სუბ-კონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა სუბ-კონტრაქტორს.

10.5 მიმწოდებელი და მისი სუბ-კონტრაქტორი ვალდებულნი არიან დასაპროექტებელ ობიექტზე შეარჩიონ და დანიშნონ ის წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტები, რომლებიც მოხსენებული იყო მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემებში და მოწონებულია შემსყიდველის მიერ.

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

10.6 მიმწოდებელი, მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემებში წარმოდგენილი მასთან მომუშავე წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტის სიობრივი რაოდენობის ზევით სპეციალისტს(ებს) ნიშნავს შემსყიდველთან შეთანხმებით.

მუხლი 11. შეტყობინება

11.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 12. ინსპექტირება

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, კერძოდ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული სახით წინამდებარე კონტრაქტით გათვალისწინებული ვადებში წარმოდგენის კონტროლს ახორციელებს დირექტორის მოადგილე ანდრია დვალი.

12.2 შემსყიდველს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დათქმულ ვადებში შესრულების მიმდინარეობაზე. ინსპექტირების განმახორციელებელი პირის ან პირების მიერ შედგენილი აქტი არის ობიექტის შუალედური მიღების, ხოლო შემდგომში ექსპერტიზის დადებით დასკვნასთან ერთად უკვე გაწეული მომსახურების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველი.

მუხლი 13.სხვა პირობები

13.1 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

13.3 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

13.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.5 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულებისმოქმედებისვადა

14.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე 2013 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით.

მუხლი15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია", იურიდიული მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგისგამზ. N12, ფაქტიური მისამართი: ქ,თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N45, მე-4 სართული, საბანკო რეკვიზიტები: საიდენტიფიკაციო კოდი 404942470, სს „თიბისი ბანკი", ბანკის კოდი TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE51TB7161936080100005.

ხელმოწერა _____ გიორგი შუხოშვილი

ბ.ა.

მიმწოდებელი:

შპს „ნაპირდაცვა". მის: ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. N4, საიდენტიფიკაციო კოდი: 204527146, საბანკო რეკვიზიტები: სს 1საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE95BG0000000278864400.

ხელმოწერა _____ ტარიელ ბერიძე

ბ.ა.